დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე
ბრძანება

ბრძანება:**ბ108. 108261891**

თარიღი:**08/07/2026**

დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გენერატორის (Katana მეორადი) პრივატიზებისათვის ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ვ“ ქვეპუნქტის, 57-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 115-ე მუხლის პირველი პუნქტის, 117-ე მუხლის, ,,მუნიციპალური ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებისა და ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2026 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 23 იანვრის Nგ-109.109260236 განკარგულების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დმანისის მუნიციპალიტეტში საკუთრებაში არსებული გენერატორის (Katana მეორადი) პრივატიზებისათვის გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი. ქონების საწყისი საპრივატიზებო თანხა განისაზღვროს 11330 (ხუთიათასასოცდაცხრამეტი) ლარის ოდენობით.

2. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს ოდენობა განისაზღვროს 3000 (სამიათასი), ხოლო სავაჭრო ბიჯის ოდენობა 200 (ორასი) ლარით. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, მისი მოქმედების ვადა საპრივატიზებო თანხის გადახდის ვადას უნდა აღემატებოდეს არანაკლებ 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით.

3. ამ ბრძანების დმანისის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე www.dmanisi.gov.ge გამოქვეყნება დაევალოს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს.

4. ელექტრონული აუქციონის ჩატარების ვადა განისაზღვროს 2026 წლის 08 ივლისიდან 2026 წლის 17 ივლისის 11:00 საათის ჩათვლით.

5. აუქციონში გამარჯვებულ პირსა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის შესაბამისი აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი გაფორმდეს ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში.

6. ბრძანების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ოქმის გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღისა აუქციონში გამარჯვებული პირი დმანისის მუნიციპალიტეტის მერიას წარუდგენს მუნიციპალიტეტის ქონების შეძენის სრული ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს.

7. აუქციონში გამარჯვებულ პირსა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის შესაბამისი ხელშეკრულება გაფორმდეს ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 22 (ოცდაორი) კალენდარული დღის ვადაში.

8. მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი ვალდებულია ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებისას, დადგენილ ვადაში გადაიხადოს მუნიციპალიტეტის ქონების სრული ღირებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ გადაეცემა საკუთრების უფლება მუნიციპალიტეტის ქონებაზე, ხოლო

ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია არ დაუბრუნდება და გაწეული ხარჯები არ აუნაზღაურდება.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაინტერესებული მხარის მიერ, მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, დმანისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. დმანისის, წმინდა ნინოს ქ. N41).

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

თემური ზურაბიშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის მერია-მერის მოადგილე